ხელშეკრულება № 273
(გამარტივებული შესყიდვა)

№485 30.08.2016

ქ. ბათუმი 29 აგვისტო 2016 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ს.ს.ი.პ. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის მამუკა ახალაძის სახით და მეორეს მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს **ს.ს.ი.პ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო,** შემდგომში წოდებული „მიმწოდებელად", წარმოდგენილი სამმართველოს უფროსის **კარლო ურუშაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები", ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობითა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით, „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის; 2004 წლის 09 ივლისის საქართველოს პრეზიდენტის N261 ბრძანებულების, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შეყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 19 აგვისტოს N2403 განკარგულებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო განმარტავს, რომ სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, შსს მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების" საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ამ ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას განახორციელოს ს.ს.ი.პ. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს (შემდგომში წოდებული ობიექტად, CPV79700000 - **გამოძიებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები**) შენობაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა

ცეცხლსასროლი (სამსახურებრივი საშტატო) იარაღის გამოყენებით, რაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას.

2.2 ამ მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული „ობიექტის" დაცვას უზრუნველყოფს საქართველოს შსს-ს ს.ს.ი.პ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს ქ. ბათუმის დაცვის პოლიციის სამსახური, პოლიციის 1 ინსპექტორის და 1 უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით.

2.3 „ობიექტის" დაცვა განხორციელება ყოველდღიურად 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 დაცვის მომსახურების ღირებულებაა 3200 (სამი ათას ორასი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით. (ყოველთვიური ღირებულება 1600 (ათას ექვსასი) ლარი.

3.2 საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენას უზრუნველყოფს „შემსყიდველი";

3.3 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, დღგ-ს ჩათვლით, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია „მიმწოდებელი".

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა;

ბ) არ გაამჟღავნოს „შემსყიდველის" სამსახურებრივი საიდუმლოება;

გ) უზრუნველყოს დაცვის ობიექტებზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;

დ) „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

ე) „მიმწოდებელი" ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს „მიმწოდებლის" თანამშრომლის მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

ვ) ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს „შემსყიდველის" საბუღალტრო დოკუმენტაციას;

ზ) „მიმწოდებელი" ფაქტიურ ზარალს აანაზღაურებს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

თ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

ი) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.1.2 „მიმწოდებელი" პასუხისმგებლობას არ კისრულობს თუ:

ა) „შემსყიდველმა" არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, პირველადი და შემდგომი მოკვლევის აქტების მოთხოვნები;

ბ) თანაშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვებული იქნა დასაცავად „ობიექტში". ასევე, მატერიალური ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია „შემსყიდელის" მიერ „ობიექტის" დაცვისათვის ჩაუბარებლობის მიზეზით.

4.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) უფასოდ გამოუყოს სამსახურებრივი სათავსოები, მოწყობილობები, ინვენტარი, კავშირგაბმულობის საშუალებები, უზრუნველყოს მათი ტექნიკური გამართულობა, შეუქმნას ნორმალური საყოფაცხოვრებო - შრომითი პირობები;

გ) განახორციელოს „ობიექტის“ პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება; „მიმწოდებელთან“ ერთად იზრუნოს ობიექტის დაცვის სრულყოფისათვის;

დ) „ობიექტის“ მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში არ შევიდეს მასში „მიმწოდებლის“ თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალური ფასეულობათა აღწერა;

ე) „მიმწოდებელს“ 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე“ მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დავის უსაფრთხოებას: (ობიექტის დაცვითი სიგნალიზაციის აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამაშველო, სარემონტო მუშაობის წარმოება და ა.შ).

ვ) დაცვის თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“.

ზ) „შემსყიდველს“ ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოკვლევის აქტით;

თ) რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყონებლივ აცნობოს „მიმწოდებელს“;

ი) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 5. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

5.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს.

5.2 „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 6. ანგარიშსწორების წესი

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი

შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 9. შეტყობინება

9.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 10. დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 01 სექტემბრიდან, მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2016 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულება მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

მუხლი 13. დაუძლეველი ძალა:

13.1 ხელშეკრულების მიზნებისათვის დაუძლეველი ძალა და დაუძლეველი ძალის გარემოება ნებისმიერ მხარესთან მიმართებაში ნიშნავს ისეთ ნებისმიერ შემთხვევას ან გარემოებას, რომელიც ასეთი მხარის კონტროლის ფარგლებს მიღმაა და რომელიც, მიუხედავად მხარის ყველა გონივრული მცდელობისა მაინც ვერ იქნა თავიდან აცილებული ან მოგვარებული და რომელიც გადაიზრდება ან გამოიწვევს ასეთი მხარის მიერ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობას.

13.2 თითოეულ მხარეს ეპატიება მის მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება და ამის საფუძველზე ხელშეკრულების თანახმად არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების სრული ან ნაწილობრივი შეუძლებლობა დამდგარია დაუძლეველი ძალის გარემოებების ან მათგან გამომდინარე შედეგების გამო.

13.3. დაუძლეველი ძალის დროს მხარემ, რომელზეც იმოქმედებს ასეთი გარემოება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების შესახებ და მიაწოდოს ასეთი გარემოების არსებობის დამამტკიცებელი სათანადო საბუთი და მისი ხანგრძლივობის სავარაუდო ვადა და შედეგები. ამასთან ყველა მხარემ უნდა:

ა) გამოიყენოს მთელი ძალისხმევა, რათა თავიდან აიცილოს, შეამციროს ან შეასუსტოს დაუძლეველი ძალის გარემოებით გამოწვეული შედეგები;

ბ) გამოიყენოს მთელი ძალისხმევა, რათა უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების ჩვეულებრივ რეჟიმში შესრულება დაუძლეველი ძალის ნებისმიერი გარემოების შეწყვეტის შემდეგ და უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი ორივე მხარისათვის;

გ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ შეამციროს მეორე მხარისადმი ზარალის ოდენობა, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

13.4 მხარე, რომელიც აღმოჩნდა დაუძლეველი ძალის ზეგავლენის ქვეშ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულების შესახებ.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადები გადაიწევს იმ დროის პროპორციულად, რა დროის განმავლობაშიც გრძელდებოდა დაუძლეველი ძალის მოქმედება, რის გამოც მხარე ვერ ასრულებდა წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

გრძელდებოდა დაუძლეველი ძალის მოქმედება, რის გამოც მხარე ვერ ასრულებდა წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ორი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო ორი – „შემსყიდველს“.

14.2 მხარეთა რეკვიზიტები:

ა) „შემსყიდველი“:

ს.ს.ი.პ. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. #23
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 631 632;
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ/ნომერი: 707227058;
e-mail: info@mta.gov.ge
TEL / FAX: 422 27 49 25
422 27 39 29

ბ) „მიმწოდებელი“

აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო
მის: ქ.ბათუმი, ტბ. აბუსერიძის ქ. N11
საიდენთიფიკაციო კოდი: 211350928
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი“
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707117043
TEL: 27 74 31; 27 02 89

„შემსყიდველი“

მამუკა ახალაძე

„მიმწოდებელი“

კარლო ურუშაძე